# საბჭოთა სპორტის ბრწყინვალე გამარჯვება

SAPPORO'72



სურათებზე (მარცხნიდან): ვ. ვორონკოვი, ი. სკობოვი, ფ. სიმაშოვი, ვ. ვედენინი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 32 (4542)

1972 წ. 15 თებერვალი, სამშაბათი, ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## საკუთარი საზრუნავი სხვის გამარჯვებათა ფონზე

სტოკჰოლმი, 14 თებერვალი. „საბჭოთა კავშირის ნაკრები კვლავ სამოყვარულო ჰოკეის საუკეთესო გუნდად რჩება, — წერს შვედური გაზეთი „ექსპრესენი" საპოროს ოლიმპიური ტურნირის დამთავრების შემდეგ. — რუსებმა გაიმარჯვეს გუნდში შექმნილი რკინის დისციპლინის, მაღალი ეფექტურობისა და თამაშში ფანტაზიის წყალობით". პრესა განსაკუთრებით აღნიშნავს ტრეტიაკის, რაგულინის, მალცევის, მიშაკოვის, იაკუშევის, ხარლამოვის ფირსოვისა და ვიკულოვის თამაშს.

შვედი მიმომხილველები აკრიტიკებენ „ტრე კრუნურის" მწვრთნელს, კანადელ ჰარისს. „ჰარისი საპოროში ოლიმპიური ოქროს მოპოვებას აპირებდა. ეს მან ჯერ კიდევ მაშინ განაცხადა, როცა ნაკრების მწვრთნელობა იკისრა. ჩვენი კი თავიდათან გუნდსაც ჩაუნერგა გამარჯვების რწმენა. მაგრამ ჩეხოსლოვაკიელ ჰოკეისტებთან შეხვედრაში ეს ოცნება დაიმსხვრა და გუნდს გული გაუტყდა. თვად ჰარისმა ძალიან განიცადა მარცხი", — წერს „აფტონბლადეტი".

პრესაში გამოთქვამენ აზრს, რომ მომავალი მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც პრაღაში ჩატარდება, „ტრე კრუნურმა" კვლავ უნდა დაიბრუნოს ულფ სტერნერი. ჰარისმა თქვა, რომ სტერნერი ალბათ გამოვა პრაღაში და გუნდს ახალი წევრებიც შემატებიან.

# ოლიმპიადა, დღე მეთერთმეტე



სურათზე: XI თეთრი ოლიმპიადის საზეიმო დახურვა. სახეის ტელეფოტო.

## მედლები, ადგილები, ქულები

(არაოფიციალური გუნდური ჩათვლა)

საბოლოო ცხრილი

| ქვეყანა | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | IV | V | VI | მედლები სულ | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 8 | 5 | 3 | 4 | 4 | 7 | 16 | 120 |
| 2. გდრ | 4 | 3 | 7 | 1 | 3 | 4 | 14 | 83 |
| 3. ნორვეგია | 2 | 5 | 5 | 5 | 2 | 1 | 12 | 79 |
| 4. ჰოლანდია | 4 | 3 | 2 | 3 | 1 | 2 | 9 | 64 |
| 5. შვეიცარია | 4 | 3 | 3 | 2 | — | 2 | 10 | 63 |
| 6. გფრ | 3 | 1 | 1 | 3 | 9 | 4 | 5 | 60,5 |
| 7. აშშ | 3 | 2 | 3 | 4 | 1 | 2 | 8 | 59 |
| 8. ფინეთი | — | 4 | 1 | 3 | 6 | 2 | 5 | 47 |
| 9. შვეცია | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 2 | 4 | 36 |
| 10. იტალია | 2 | 2 | 1 | 1 | — | 1 | 5 | 31 |
| 11. ავსტრია | 1 | 2 | 2 | — | 1 | 1 | 5 | 28 |
| 12. საფრანგეთი | — | 1 | 2 | 2 | 2 | 1 | 3 | 24 |
| 13. იაპონია | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | — | 3 | 23 |
| 14. ჩეხოსლოვაკია | 1 | — | 2 | — | 1 | 2 | 3 | 19 |
| 15. პოლონეთი | 1 | — | — | — | 1 | 3 | 1 | 11,5 |
| 16. კანადა | — | 1 | — | 2 | — | — | 1 | 11 |
| 17. ესპანეთი | 1 | — | — | — | — | — | 1 | 7 |
| 18-19. რუმინეთი | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |
| 18-19. უნგრეთი | — | — | — | — | 1 | — | — | 2 |

შენიშვნა: გდრ-სა და იტალიას ორადგილიანი ციგებით გამარჯვებისთვის დარიცხული აქვთ 6-6 ქულა. ნაანგარიშევია I და II ადგილებისთვის შესაბამისად 7 და 5 ქულა და შემდეგ ეს ჯამი გაყოფილია შუაზე. ამავე სახეობაში გფრ-სა და პოლონეთს V ადგილის გაყოფისთვის ასევე დარიცხული აქვთ შესაბამისად 2 და 1 ქულა, რაც შემდეგ გაყოფილია ორზე.

საპორო, 13 თებერვალი. მაკომანაის სპორტის სასახლის ყინულზე დაჯილდოების საზეიმო ცერემონია მოეწყო. საპატიო კვარცხლბეკზე დადგნენ საბჭოთა ჰოკეისტები, რომელთაც ის-ის იყო დამაჯერებლად მოუგეს გადამწყვეტი მატჩი ოლიმპიური ტურნირის მეორე ლიდერს — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს. გამარჯვებულებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ევერი ბრუნდეჯმა გადასცა ოქროს მედლები.

მერე კი კვარცხლბეკზე ავიდნენ საბჭოთა მოთხილამურე ქალები, რომელთაც წინადღით ყველას აჯობეს ესტაფეტაში. კვლავ აფრიალდა ანძაზე საბჭოთა ქვეყნის ალამი, კვლავ აჟღერდა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი — ეს უკვე ოლიმპიური ოქროს მედლებით აჯილდოებდნენ საბჭოთა მოთხილამურე ვაჟებს, რომელთაც ასევე პირველობა დაისაკუთრეს ესტაფეტაში.

ზამთრის XI ოლიმპიური თამაშების ბოლო დღეს თამამად შეიძლება საბჭოთა დღე ვუწოდოთ. სსრ კავშირის სპორტსმენებმა თეთრი ოლიმპიადის სარბიელზე ასპარეზობა 30 კმ-ზე სათხილამურო რბოლაში მოგებით დაიწყეს და ახლა ერთბაშად ორი გამარჯვებით დააგვირგვინეს.

ახლა კი მოკლედ გიამბობთ რა მოხდა 13 თებერვალს საპოროს ოლიმპიურ ასპარეზზე.

### თაობათა ესტაფეტა

მაკომანაის სათხილამურო სტადიონის პრესის ლოჟაში მსხდომმა ჩვენმა კოლეგებმა ბევრი ქების სიტყვა უძღვნეს მოსკოველ ვ. ვედენინს 4×10 კმ-ზე ესტაფეტის ბოლო ეტაპზე, მაგრამ ყველა ეს სიტყვა მაინც თითქოს უფერული ჩანდა საბჭოთა სპორტსმენის დიდ ოსტატობასთან შედარებით. ვედენინმა ესტაფეტა ფ. სიმაშოვისგან მიიღო ნორვეგიელი ი. ჰარვიკენის ზურგს უკან, რომელიც უკვე კარგა მანძილით წინ იყო. სხვაობა წუთზე მეტს შეადგენდა. და თუმცა სპორტში სასწაულები არ ხდება, საოცარი სპორტსმენის მტკიცე ნებისყოფამ და მიზნისკენ სწრაფვის ძალამ ამ თითქოს საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებაში მაინც დაგვაეჭვა. მეცხრე კილომეტრზე ვედენინი დაეწია მეტოქეს, რომლის სახელიც მსოფლიოს ექსტრა-კლასის მრბოლელთა სიაშია შეტანილი, გაუსწრო მას და, როცა სტადიონზე შემოსრიალდა, მთელი 10 მეტრით წინ იყო. ძალაგამოცლილი და სულიერად გატეხილი ჰარვიკენი შორიდან უყურებდა, როგორ მივიდა ფინიშთან საბჭოთა მოთხილამურე.

ასეთი სპორტული გმირობის ძალა (უფრო ზუსტი სიტყვის მონახვა ძნელია) შესწევს მხოლოდ ნამდვილ მებრძოლს, რომელიც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძვის და რომლისთვისაც ბრძოლა სპორტის მთავარი აზრია. თავად ვედენინი, როგორც მუდამ, ახლაც ძალიან თავშეკავებული იყო.

„სეიკოს" ფირმის მიუკერძოებელმა წამზომებმა აღნუსხეს ოლიმპიურ ჩემპიონთა შედეგი — 2:04.47,94. II ადგილზე გავიდნენ ნორვეგიელები.

საბჭოთა გუნდმა, რომელშიც ვედენინის გარდა შედიოდნენ მოსკოველები ვ. ვორონკოვი და ფ. სიმაშოვი, ოლიმპიადის დებიუტანტი, კიროველი ი. სკობოვი, 16 წლიწადს „შესვენების" შემდეგ კვლავ დაისაკუთრა ოლიმპიური ოქროს მედლები. ამდღევანდელ წარმატებასთან უშუალოდაა დაკავშირებული კორტინა დ'ამპეცოში 1956 წელს გამარჯვებული კვარტეტის ორი წევრი — ვ. კუზინი და პ. კოლჩინი, ისინი ახლა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელები არიან. აი, ასეთია თაობათა ესტაფეტა!

დავუბრუნდეთ კვლავ სათხილამურო ბილიკს. თავიდანვე აშკარა გახდა, რომ მთავარი ბრძოლა ჯილდოებისთვის საბჭოთა და ნორვეგიელ სპორტსმენებს შორის გაჩაღდებოდა. ვორონკოვი პირველ „ფინიშთან" ახალგაზრდა მოთხილამურე ო. ბროსთან ერთად მივიდა, სკობოვს მეორე 10-კილომეტრიან მონაკვეთზე ძალიან სერიოზული მეტოქეები ჰყავდა — ოლიმპიური ჩემპიონი, ნორვეგიელი პ. ტილდუმი და მსოფლიო ჩემპიონი, შვედი ლ.-ე. ოსლუნდი. ბიძგზე, რომელიც მეექვსე კილომეტრის გრძელ აღმართზე 22 წლის კიროველმა სპორტსმენმა გააკეთა, მხოლოდ ტილდუმს შეეძლო პასუხის გაცემა. ოსლუნდი ჩამორჩა.

მაგრამ მესამე ეტაპზე მდგომარეობა შეიცვალა: სიმაშოვი ი. ფორმოს წუთზე მეტით ჩამორჩა. ახლა მთელი იმედი ვედენინის ვაჟკაცობაზე იყო დამყარებული და მან ცხადად აქცია სადღაც გულის სიღრმეში შემორჩენილი ოცნება გამარჯვებაზე.

### მეხუთე, „ჰოკეის ეტაპი"

როცა სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრები ჩეხოსლოვაკიის გუნდთან გადამწყვეტი მატჩის წინ წასავარჯიშებლად გამოვიდა ყინულზე, მაკომანაის სპორტის სასახლეში 4×10 კმ-ზე ესტაფეტაში საბჭოთა მოთხილამურეების ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი მოვიდა.

(დასასრული მე-2 გვ.).

# ოლიმპიადა, დღე მეთერთმეტე



სურათზე: საბჭოთა ჰოკეისტები ოქროს მედლების მფლობელები. საქინფორმის ტელეფოტო.

## დასასრული

— ვფიქრობდი, არ შეიძლება მეხუთე ეტაპზე თავის შერცხვენა-მეთქი, — ამბობდა მატჩის შემდეგ საბჭოთა ყინულის რაზმეულის ვეტერანი ა. რაგულინი.

საბრძოლოდ იყვნენ განწყობილი ამ დღეს (თამაში დაიწყო პირველის ნახევარზე ადგილობრივი დროით) დანარჩენი საბჭოთა ჰოკეისტებიც.

მწვრთნელებმა ა. ჩერნიშოვმა და ა. ტარასოვმა ბოლო მატჩისთვის ასეთი შემადგენლობა შეარჩიეს: ტრეტიაკი, ციგანკოვი — რაგულინი, ვიკულოვი — ფირსოვი — ხარლამოვი, ლუტჩენკო — რომიშევსკი, მიხაილოვი — პეტროვი — ბლინოვი, დავიდოვი — კუზკინი, მალცევი — მიშაკოვი — იაკუშევი. თადარიგში რჩებოდნენ პაშკოვი, ვასილიევი, ზიმინი და შადრინი.

წინასწარ ვიტყვით, რომ რაგულინს, დავიდოვს, კუზკინს და ფირსოვს ახლა სამ-სამი ოლიმპიური ოქროს ჯილდო აქვთ, ვიკულოვს, მიშაკოვს და რომიშევსკის — ორ-ორი.

... რთულ გამოცდად იქცა დასკვნითი მატჩი. ახალგაზრდა მეკარემ ტრეტიაკმა ბევრჯერ იხსნა თავისი ამხანაგები. მას თავდადებით ეხმარებოდნენ არა მარტო მცველები, არამედ თავდამსხმელებიც. მსოფლიო ჩემპიონები გაბედულად გადადიოდნენ იერიშზე, ქარიშხალივით მიიწევდნენ პირდაპირ მეტოქის კარისკენ. პირველ შეხვედრებში მოპოვებულ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა ფირსოვის რგოლმა, ახლა კი თავი გამოიჩინეს მეორე და მესამე სამეულებმა. სსრ კავშირის ნაკრებიდან შაიბები გაიტანეს: ბლინოვმა, მიხაილოვმა, ფირსოვმა და მიშაკოვმა (2). მეტოქეებიდან გამოირჩეოდნენ მარტინეცი და ჩერნი. მეორე პერიოდის დასაწყისში ჩეხოსლოვაკიის ნაკრების კარში ძურილა პოლეჩეკმა შეცვალა.

მატჩის ანგარიშია 5:2 (2:0, 2:1, 1:1).

საბჭოთა ჰოკეისტებს — საპოროს ოლიმპიურ ჩემპიონებს რომლებმაც ძალიან შედეგიანად და, ამავე დროს, კორექტულად ითამაშეს, „სამართლიანი თამაშის პრიზი" გადაეცათ.

ამ შეხვედრამდე შვედებმა წააგეს ფინელებთან — 3:4 (2:1, 1:1, 0.2). როცა ანგარიში იყო 3:2 მათს სასარგებლოდ, შვედებმა ხუთჯერ მოახვედრეს შაიბა ძელს. ამ მარცხმა „ტრე კრუნურს" მედლები დააკარგვინა. ვერცხლის პრიზიორები გახდნენ ამერიკელი ჰოკეისტები, ბრინჯაოსი — ჩეხოსლოვაკიელები. შვედები IV ადგილზე არიან, ფინელები — V. ექვსეულს ხურავს პოლონეთის ნაკრები (იხ. ცხრილი).

### ჰოკეისტთა მთავარი ფინალის საბოლოო ცხრილი

| ქვეყანა | თ. | მ. | ფ. | წ. | შაიბები | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სსრ კავშირი | 5 | 4 | 1 | 0 | 33—13 | 9 |
| 2. აშშ | 5 | 3 | 0 | 2 | 18—15 | 6 |
| 3. ჩეხოსლოვაკია | 5 | 3 | 0 | 2 | 26—13 | 6 |
| 4. შვეცია | 5 | 2 | 1 | 2 | 17—13 | 5 |
| 5. ფინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 14—24 | 4 |
| 6. პოლონეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 9—39 | 0 |

### საპოროს ბოლო ჩემპიონი

ესპანელმა სტუდენტმა ფრანსისკო ფერნანდეს ოჩოამ მოიგო ოქროს მედალი სლალომისტთა შეჯიბრებაში, რომელიც ტეინეს მთაზე მოეწყო. სარბიელზე გამოვიდა 27 ქვეყნის 73 სამთომთხილამურე. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ხვდათ იტალიელებს, ორ ტონის — ბიძაშვილებს გუსტავოსა და როლანდოს. ახლა მათ ზამთრის XI ოლიმპიური თამაშების მედლების სრული კომპლექტი აქვთ — გუსტავომ ხომ გიგანტურ სლალომში ოქროს მედალი მოიპოვა.

ესპანელმა 530-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 228 მ) პირველი ცდით 55,36 აჩვენა, მეორე ცდით — 53,91. გუსტავომ 0,02 წამით გაუსწრო ბიძაშვილს.

საბჭოთა მოთხილამურე ს. გრიშჩენკო 24-ე იყო (2.02.67). 25 სლალომისტი წაიქცა და შეჯიბრება ვერ დაამთავრა. 11 სპორტსმენს დისკვალიფიკაცია მიეცა.

### ზოგიერთი სასიამოვნო შედეგი

ეს თეთრი ოლიმპიადა ბრძოლის დაძაბულობით გამოირჩეოდა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: მოციგურავე ქალთა შეჯიბრებაში ათას მეტრზე მეორე და მესამე პრიზიორებს წამის მეასედი აშორებდათ ერთმანეთს; ოლიმპიურმა ჩემპიონმა სლალომისტ ქალთა შორის მხოლოდ წამის ორი მეასედით ჩამოიტოვა უახლოესი მეტოქე; ორადგილიანი ციგებით სწრაფდაშვებაში გამარჯვების ვედი ელექტროწამმზომმაც კი ვერ გადაწყვიტა. ოქროს მედლები ორ ეკიპაჟს გადაეცა; სულ 0,8 მილიმეტრით ააცდინა მიზანს ტყვია ერთმა ბიატლონისტმა და პირველის ნაცვლად IV ადგილი ხვდა; ვერცხლის პრიზიორს ქულის მეათედით აჯობა 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში გამარჯვებულმა...

— შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა სპორტსმენების გამოსვლა ოლიმპიურ თამაშებში წარმატებით დამთავრდა, — უთხრა ჩვენს ჟურნალისტებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ს. პავლოვმა. — მათ პირველი ადგილები დაიკავეს პროგრამით გათვალისწინებულ ცხრიდან ოთხ სახეობაში (ჰოკეიში, სათხილამურო რბოლაში, ბიატლონსა და ფიგურულ ციგურაობაში). საპოროში 107 საბჭოთა სპორტსმენი ჩამოვიდა და მათგან ოცდაცამეტმა ოქროს მედალი დაისაკუთრა (მათ შორის, გუნდურ შეჯიბრებებშიც).

ჩვენ განუწყვეტლივ ვგრძნობდით სამშობლოს ზრუნვასა და ყურადღებას, საბჭოთა ხალხის დიდ ინტერესს ამ ასპარეზობისადმი. მოგვდიოდა წერილები, დეპეშები, გვირეკავდნენ ტელეფონით. ყოველივე ეს ძალიან გვეხმარებოდა.

ოლიმპიური თამაშები კარგად ჩატარდა, — განაგრძო ს. პავლოვმა. — შეჯიბრების მასპინძლებმა ყველა პირობა შეუქმნეს სპორტსმენებს, შესანიშნავად იყო მოწყობილი სპორტული ნაგებობები — ტრამპლინები, ხელოვნური საციგურაო, სათხილამურო სტადიონები. ყველაფერი უდიდესი სიზუსტით იყო გაანგარიშებული. მაგალითად, სათხილამურო ბილიკი სპეციალურ მანქანებს ისე გაჰყავდათ, რომ თხილამურის სამაგრები და ფეხსაცმელი თოვლს არ წამოსდებოდა და ნაბიჯი არ შენელებულიყო.

ქებით უნდა მოვიხსენიოთ არა მარტო ის სპორტსმენები, რომელთაც საპოროში თავი გამოიჩინეს, არამედ მათი მწვრთნელებიც — ვ. კამენსკი, ვ. ივანოვი, ვ. ბარანოვი (თხილამურეები), ა. ჩერნიშოვი, ა. ტარასოვი (ჰოკეი), ა. პრივალოვი (ბიატლონი), ს. ჟუკი (ფიგურული ციგურაობა) და სხვები, — თქვა დასასრულ საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ.

* * *

ოლიმპიური ცეცხლი ნელ-ნელა ქრება... მანამდე მაკომანაის სასახლეში თეთრი ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონია მოეწყო. წარმოთქვეს გამოსათხოვარი სიტყვები. ნორჩ სპორტსმენთა რაზმებმა სარბიელზე გამოიყვანეს ხუთი ოლიმპიური რგოლი და სიტყვები: „დენვერი-76". ეს ნიშნავს, რომ ზამთრის შემდეგი ოლიმპიური თამაშები დენვერში ჩატარდება.

„მშვიდობით, საპორო. დიდი მადლობა!" — ამბობენ 35 ქვეყნის სპორტსმენები, რომელთაც აქ დაუვიწყარი დღეები გაატარეს.

ი. ვდოვინი,
ვ. დვორცოვი,
ა. სტაროდუბი,
ი. ხრომოვი.
(საქდესის სპეც. კორ.).

## ტექნიკური შედეგები

### 18 თებერვალი

სათხილამურო ესტაფეტა 4×10 კილომეტრზე.

1. სსრ კავშირი (ვლადიმერ ვორონკოვი, იური სკობოვი, ფიოდორ სიმაშოვი, ვიაჩესლავ ვედენინი) — 2:04.47,94, 2. ნორვეგია (ოდვარ ბრო, პაალ ტილდუმი, ივარ ფორმუ, იოს ჰარვიკენი) — 2:04.57,06, 3. შვეიცარია (ალფრედ კელინი, ალბერტ გიგერი, ალოის კელინი, ედუარდ ჰაუზერი) — 2:07.00,06, 4. შვეცია — 2:07.03,60, 5. ფინეთი — 2:07.50,19, 6. გდრ — 2:10.03,73.

სლალომი. ვაჟები.

1. ფრანსისკო ფერნანდეს ოჩოა (ესპანეთი) — 1.49,27 (ორი ცდის ჯამი), 2. გუსტავო ტონი — 1.50.28, 3. როლანდო ტონი (ორივე — იტალია) — 1.50,30, 4. ანრი დიუვიიარი — 1.50,45, 5. ჟან-ნოელ ოჟე (ორივე — საფრანგეთი) — 1.50,51, 6. ებერარდო შმალცლი (იტალია) — 1.50,83.



სურათზე: დისტანციაზეა შვეიცარიელ ბობსლეისტთა კვარტეტი, რომელმაც I ადგილი დაიკავა.
საქდესის ტელეფოტო.

## მხიარული ფანჯრით



უსიტყვოდ.
გ. იაშვილის ნახატი.

## საგზურები განაწილდა

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის ფინიშზე უაღრესად მწვავე ბრძოლა გაჩაღდა. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა:

I. გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი) — 12 ქულა, II. ლ. კერნოჟიცკი (ბათუმი) — 11,5, III-IV. რ. დადიანი (სოხუმი), ი. მანაშეროვი (ხაშური) — 11-11, V-VI. ა. გიორგაძე (სოხუმი), ა. ბალავაძე (რუსთავი) — 9,5-9,5, VII-IX. ბ. გოგოლაძე (ახალციხე), ზ. ღვინიაშვილი (ლაგოდეხი), მ. ფრიდინსკი (თბილისი) — 8,5-8,5, X. ნ. ლობჟანიძე (წითელი წყარო) — 8, XI-XII. დ. კევლიშვილი (გორის რაიონი), დ. მაისურაძე (ლაგოდეხი) — 4,5-4,5, XIII. გ. კუთარაშვილი (გორის რაიონი) — 4, XIV-XV. თ. ფერაძე (რუსთავი), ზ. იორამაშვილი (ყვარელი) — 3,5-3,5, XVI. ჰ. კირვალიძე (თელავი) — 2.

სავსებით კანონზომიერად მიგვაჩნია ბიბილაშვილისა და კერნოჟიცკის გამარჯვება. ისინი კარგად ერკვევიან დებიუტების თეორიაში, თამაშობენ დინჯად, პოზიციის გაგებით. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს 18 წლის რ. დადიანი. იგი შემტევ სტილში თამაშობს. ფინალში სწორედ ეს მოჭადრაკეები მიიღებენ მონაწილეობას (დადიანს კოეფიციენტთა ცხრილით მანაშეროვზე უკეთესი მაჩვენებელი აქვს).

სხვა მონაწილეებიდან გვინდა გამოვყოთ 16 წლის ლაგოდეხელი ზ. ღვინიაშვილი (მწვრთნელი გ. შარმიაშვილი), რომელსაც, ჩვენი აზრით, კარგი მომავალი აქვს.

ლაგოდეხმა კარგი, გულუხვი მასპინძლობა გაუწია მოჭადრაკეებს. ტურნირს დიდძალი მაყურებელი ესწრებოდა.

თ. გვარჯალაძე,
ნახევარფინალის მთავარი მსაჯი, ოსტატობის კანდიდატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ლაგოდეხი.

## (სპორტული ქრონიკა)

სიდნეი, 18 თებერვალი. ავსტრალიის მოცურავეთა ღია ჩემპიონატში სიდნეელმა მოსწავლემ ბ. კუპერმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4.01,7. ეს შედეგი ძველ მიღწევას 0,4 წამით სჯობს.

ამავე სტილით ცურვაში ორი გამარჯვება იზეიმა მსოფლიო რეკორდსმენმა შ. გოულდმა: 100 მ — 1.00,1 და 800 მ — 9.01,8.

## ყინულის ბილიკებზე

კრასნოიარსკსა და სარანსკში დამთავრდა ყინულზე მოტორბოლაში საკავშირო ტურნირის ფინალური შეჯიბრებები.

სარანსკში, სადაც „350-ანების" კლასში გაიმართა ასპარეზობა, ქვეყნის ჩემპიონის სახელი ჩიტელმა ვ. მოსკოვსკიხმა მოიხვეჭა.

კრასნოიარსკში „175-ანებით" ასპარეზობდნენ. აქ ოქროს მედალი ადგილობრივ მოტოციკლისტს ვ. სვინკოს ხვდა.

## ახლა — მოსკოვის საერთაშორისო...

კიევი, 13 თებერვალი. აქ ფინიში ჰქონდა ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო შეჯიბრებას, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის, ესტონეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, ყაზახეთისა და უკრაინის წარმომადგენლები.

ქალთა ერთეულების გადამწყვეტ მატჩში მოსკოველმა მ. ჩუვირინამ ანგარიშით 6:1, 6:4 სძლია ალმაათელ მ. კროშინას, ხოლო ვაჟთა ფინალში ერთმანეთს ესტონელები თ. ლეიუსი და პ. ლამპი შეხვდნენ. გაიმარჯვა ლეიუსმა — 3:6, 6:1, 6:4, 7:5.

ვაჟთა წყვილების ფინალურ მატჩში კიეველი რ. სივოხინისა და ლვოველი ი. ჩობას დუეტმა ბაქოელებს ს. ლიხაჩოვსა და რ. ახმეროვს აჯობა — 7:5, 6:2, 6:4.

სამაგიეროდ, ლიხაჩოვს შერეულ წყვილთა ფინალმა მოუტანა წარმატება. თანაქალაქელ ე. ბირიუკოვასთან ერთად მან დაამარცხა კიეველი გ. ბაკშეევა და მოსკოველი ვ. ეგოროვი — 7:5, 2:6, 6:3.

ტურნირი ქალთა წყვილების ასპარეზობით დამთავრდა. აქ ბაკშეევამ და ჩუვირინამ აჯობეს ყველას. ფინალურ მატჩში მათ კროშინასა და ბირიუკოვას სძლიეს — 6:3, 5:7, 6:4.

გუნდურ ტურნირში საუკეთესონი იყვნენ უკრაინის წარმომადგენლები, რომლებმაც I ადგილისთვის ბრძოლაში დაამარცხეს მოსკოველები — 5:3. III ადგილისთვის მატჩში ესტონეთის ნაკრებმა დიდი ანგარიშით (6:1) დაუჯაბნა რსფსრ-ს კოლექტივს.

აქ დამთავრებული შეჯიბრების უძლიერესი მონაწილენი მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში საასპარეზოდ მიემგზავრებიან. ეს შეჯიბრება 20 თებერვალს აიღებს სტარტს.

## ჩემპიონატი მიიწურა

რიგაში მიიწურა სსრ კავშირის ახალგაზრდა ოსტატთა ჩემპიონატი, რომელსაც 16 მონაწილე ჰყავს. დასკვნითი სამი ტურის წინ ლიდერობდნენ ი. ანიკაევი (ნოვოკუზნეცკი) — 9,5 ქულა, მ. პოდგაეცი (ოდესა) — 9, ა. ბელიავსკი (ლვოვი) — 8 და ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) — 7 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ბოლო ორ (XI, XII) ტურში ლიდერებმა წარმატებით ითამაშეს. ანიკაევმა ლიტველ ა. ვიტოლინშთან ყაიმის შემდეგ სძლია მ. მუხინს (ალმაათა), პოდგაეცმა მოუგო მუხინსა და რ. რუდერფერს (ტაშკენტი), ბელიავსკიმ კი თ. გიორგაძეს (თბილისი) და ვიტოლინშს.

გადადებული პარტიების დამთავრებისას კუპრეიჩიკმა სამ შეხვედრაში მხოლოდ 1,5 ქულა მოაგროვა.

თბილისელ გიორგაძეს 12 ტურის შემდეგ 5,5 ქულა ჰქონდა. XII ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა აშხაბადელ ა. კაკაგელდიევთან.

უკვე გამოჩნდნენ ის მოჭადრაკეები, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ სამეულში და, მაშასადამე, საბჭოთა ქვეყნის სტუდენტთა ნაკრების შემადგენლობაში მოხვედრის იმედი. ისინი ლიდერები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „კოლმეურნე“ ისევ უძლიერესია

ზამთრის IV რესპუბლიკური სპარტაკიადის ბოლო დღის შეჯიბრებაზე ლაპარაკი ისევ ბაკურიანის ჭირვეული ამინდით უნდა დავიწყოთ. ნამქერმა ტრასები ისე გააფუჭა, რომ მათს აღსადგენად რამდენიმე ათეული მუშაც არ კმაროდა. საქმე კი საჩქარო იყო. და აი, აქ დასახმარებლად კიდევ ერთხელ მოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ბაკურიანის ბაზა-პანსიონატის შოფერი რ. არბოლიშვილი. სპეციალური მანქანით მან თითქმის მთელი დღის საქმე ორ საათში დაამთავრა.

ერთი სიტყვით, ბაკურიანში ტექნიკის დაუხმარებლად ტურნირების ნორმალურად ჩატარება ძნელია, ამიტომ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ერთადერთი მანქანა, ცხადია, არ კმარა.

სპარტაკიადის მეოთხე დღის პროგრამაში ესტაფეტები და სპეციალური სლალომი შედიოდა.

ბოლო სტარტებს სპორტსაზოგადოებათა ნაკრები კოლექტივების საერთო გუნდურ ჩათვლაში ბოლო ცვლილებები უნდა შეეტანა, ამიტომ ყველა თავგამოდებით იბრძოდა.

ვაჟთა ესტაფეტის სტარტზე შვიდმა გუნდმა მოიყარა თავი („ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოსა და საქართველოს აკადემიურ ნიჩბოსანთა კვარტეტები უკონკურსოდ დავუშვით). ქალთა შეჯიბრებაში მთავარი პრიზისთვის მებრძოლებს — „კოლმეურნის“, „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „სპარტაკის“ კოლექტივებს დაემატა უკონკურსოდ მოასპარეზე სტუდენტთა საკავშირო ნაკრებიც, რომელიც მსოფლიო უნივერსიადისთვის (აშშ) აქ ემზადებოდა.

3×5 კილომეტრზე ქალთა ესტაფეტაში სტუდენტთა ნაკრების (ო. როკო, თ. შაშკინა, თ. ოსეტროვა) უპირატესობა აშკარა იყო. სტუდენტებმა შეჯიბრება 1 საათში, 5 წუთსა და 44 წამში დაამთავრეს, „კოლმეურნის“ ტრიომ (ნ. რატიანი, ლ. ხრიავინა, თ. პარასტაევა) კი, რომელმაც ჩემპიონობა დაისაკუთრა, 1:26.13 აჩვენა. „განთიადის“ გუნდს უკეთესი შედეგის მოპოვება შეეძლო, მაგრამ გ. იაკუბოვამ მეორე ეტაპზე წესი დაარღვია და კოლექტივი შეჯიბრებიდან მოიხსნა. მაგრამ მაინც, სტუდენტებს განთიადელებიც საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. ერთადერთი, ვისაც შეეძლო ამერიკაში სასპარეზოდ მიმავლებისთვის ერთგვარი მეტოქეობა გაეწია, ჩვენი აზრით, ისევ საქართველოს ასეთი ნაკრები იქნებოდა: განთიადელი კ. კუხბა, „კოლმეურნის“ გუნდის წევრი თ. პარასტაევა და თბილისელი სტუდენტი ნ. ბალაშვილი.

ქალთა ესტაფეტაში თავიდან საქართველოს „ბურევესტნიკი“ დაწინაურდა. ბალაშვილმა, რომელსაც ფეხი ჰქონდა ნატკენი, ესტაფეტა თითქმის 2 წუთით ადრე გადასცა ც. ჯეირანაშვილს, მაგრამ თანაგუნდელებმა ლიდერის მონაპოვარი ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს და წინ „კოლმეურნე“ გაუშვეს. „ბურევესტნიკის“ შედეგია 1:30.12. III ადგილზე გავიდა „სპარტაკი“ — 1:34.25.

ბაკურიანში იმ დილით ჰაერის ტემპერატურა მინუს 20 გრადუსი იყო. ეს ხელს უწყობდა სრიალს, რაც ვაჟებმა კარგად გამოიყენეს. „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში 4 სპორტის ოსტატი გამოდიოდა, საქართველოს სპორტსმენთა შორის — არც ერთი. ჩვენი რესპუბლიკის მოთხილამურეთა ნაკრების გამოსვლა რომ ყოფილიყო შესაძლებელი, პირველთანრიგოსნები იაგორ ნასყიდაშვილი, ლ. სოლოიანი, რ. გულბანი და თ. თედიაშვილი ერთად აჯობებდნენ უნივერსიადაზე მიმავალთა კვარტეტს (ა. ბარანოვი, ტ. ტამი, ვ. ზიმენკო, ფ. ზაქიროვი) — 2:13.55. მაგრამ რესპუბლიკის უძლიერესი სპორტსმენები ამ დროს თავიანთი კოლექტივების ინტერესებს იცავდნენ. და მაინც, საქართველოს „სპარტაკის“ გუნდმა (ვ. კოზანაშვილი, ო. დიაკონაშვილი, თ. თედიაშვილი, ი. ნასყიდაშვილი), რომელმაც სტუდენტებთან მხოლოდ წუთი და 17 წამი წააგო, სპარტაკიადის ჩემპიონობა დაისაკუთრა.

II ადგილისთვის ბრძოლაში „კოლმეურნემ“ (2:27.00) საქართველოს „ბურევესტნიკს“ 42 წამით აჯობა.

სპარტაკიადაში მეორე გამარჯვება მოიპოვა სპორტის ოსტატმა იოსებ ნასყიდაშვილმა („ბურევესტნიკი“), რომელმაც სპეციალური სლალომის ტრასაზე (400 და 420 მ, სიმაღლეთა სხვაობა — 200 მ, 50 და 52 კარი) ჯერ 46,2, შემდეგ კი 53,6 წამი აჩვენა (ჯამში — 1.39,8) და კოლექტივს 18 ქულა შესძინა. II ადგილიც მის თანაგუნდელ სპორტის ოსტატს რ. აკოფოვს დარჩა — 1.46,2 (51,0 და 55,2).

სამთო სახეობათა გუნდურ ჩათვლაში საზოგადოებებს 6-6 სპორტსმენი გამოჰყავდათ, ჩათვლაში კი იმ სპორტსმენთა შედეგები შედიოდა, რომლებიც ადგილს 15 საუკეთესოს შორის დაიკავებდნენ. „ბურევესტნიკიდან“ ასეთი მხოლოდ ნასყიდაშვილი და აკოფოვი აღმოჩნდნენ. თავიანთ კოლექტივს მათ გიგანტურ სლალომსა და სპეციალურ სლალომში II ადგილები მოუპოვეს (სწრაფდაშვებაში კ. ოჰანესიანთან ერთად — I).

სპეციალურ სლალომში III ადგილი ხვდა გ. მაკიევს („სპარტაკი“) — 1.49,5.

თუ ვაჟთა შეჯიბრება მონაწილეთა სიმრავლისა და შედარებით კარგი ტექნიკური მომზადების წყალობით საინტერესო იყო, ქალებზე ამას ვერ ვიტყვით. სტარტზე გამოსული 9 მონაწილიდან ერთი ფინიშამდე ვერ მივიდა, ორმა კი ქულები ისე მიიღო, რომ მესამე თანრიგის ნორმატივსაც კი ვერ შესწვდა. სწორედ მონაწილეთა

(დასასრული მე-4 გვ.).

# მთავარი პრიზი სტუმარმა წაიღო

## დამთავრდა თბილისის საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში ა. კიკნაძის სახელობის პრიზზე

ძიუდოისტთა ასეთი მასშტაბის საერთაშორისო ტურნირის მოწმენი თბილისელი სპორტის გულშემატკივრები ჯერ არ ყოფილან. ამიტომ ორი დღის განმავლობაში სპორტის სასახლის ტრიბუნები მაყურებლებით იყო სავსე. ინტერესს ისიც აღვივებდა, რომ ყველას სურდა ჭიდაობის ამ სახეობის ფუძემდებლების — იაპონელი სპორტსმენების ოსტატობის ხილვა. ამომავალი მზის ქვეყანამ თბილისში სამი ძიუდოისტი (ა. ნინომია, ს. ენდო, მ. მურაი) მოავლინა და უნდა ითქვას, რომ ამ სამეულმა ძიუდოს მრავალფეროვანი და საინტერესო ილეთები წარმოგვიდგინა.



„... ტატამზე არიან აბსოლუტური პირველობის მონაწილენი, იაპონიის სტუდენტთა ჩემპიონი, 20 წლის ს. ენდო და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, მოსკოველი ვ. კუზნეცოვი. იაპონელმა შეხვედრა დინჯად დაიწყო. იგი ასე ირჯებოდა მანამ, სანამ მეტოქეს არ შეატყო, რომ მეტისმეტად აჩქარდა, სწრაფად მოძრაობა დაიწყო. და აი, აქ ენდომ ისეთი მოულოდნელი ილეთი გაუკეთა კუზნეცოვს, რომლის დროსაც ხალიჩის არბიტრი იაპონურად წამოიძახებს: „ვაზარი“ (ქულებით უპირატესობა). ენდოსა და ჩვენი რ. ოდიშელიძის შეხვედრაში კი არბიტრმა წამოიძახა: „იპონ“. ეს ნიშნავდა იაპონელის წმინდად გამარჯვებას. ამ შეხვედრაშიც იგივე სურათი გამეორდა. ოდიშელიძე გამუდმებით და მძლავრად უტევდა მეტოქეს, რომელიც ერთი შეხედვით თითქოს თავს იცავდა, მაგრამ ერთ მომენტში ოდიშელიძემ ყურადღება მოადუნა და მეტოქემ იგი ძირს დასცა (უნდა აღინიშნოს, რომ ქართველმა სპორტსმენმა მანამდე ფეხი იტკინა ნ. ექვთიმიშვილთან შეხვედრაში და მთელის ძალით ვერ იბრძოდა). ეს იყო ფინალური შეხვედრა და აბსოლუტური პირველობა იაპონელს მიეკუთვნა.

ჩვენ აქ ვილაპარაკეთ აბსოლუტური პირველობის ორ მთავარ და გადამწყვეტ შეხვედრაზე. ძიუდოში კი პირველობა კიდევ ხუთ წონაში თამაშდება.

მსუბუქ წონაში 15 მონაწილე გამოდიოდა, რომლებიც ოთხ ქვეჯგუფში გაერთიანდნენ. აქ წარმატებით გამოვიდნენ თბილისელი ა. მარტყოფლიშვილი, ლენინგრადელი ს. სუსლინი, გორელი ჯ. ხორბალაძე, კიეველი ს. მელნიჩენკო და ფრანგი ჟ. მონიე. სწორედ ეს სპორტსმენები იყვნენ პირველობის ფავორიტები. მარტყოფლიშვილმა დაამარცხა ხორბალაძე, მონიე და ამ უკანასკნელის თანამემამულე პ. ბარაკო. ასევე წარმატებით გაიკვლია გზა ფინალისკენ მელნიჩენკომ და ეს ორი მოჭიდავე დადგა ერთმანეთის პირისპირ. უპირატესობა თითქოს ქართველი ძიუდოისტის მხარეზე იყო: იგი უფრო ენერგიულად, თავგამოდებით უტევდა მეტოქეს, მაგრამ ერთ მომენტში მოტყუვდა და უკრაინელმა ათლეტმა იგი კისრულით ხალიჩაზე ბეჭებით დასცა. წმინდა მოგება!

ქვესაშუალო წონაში ქვეჯგუფებიდან მეოთხედფინალში გავიდნენ და აქაც წარმატებით იასპარეზეს დ. რუდმანმა (მოსკოვი), ს. ქარელმა (გორი), ვ. დვოინიკოვმა (სვერდლოვსკი) და ა. ნოვიკოვმა (ხარკოვი). ნახევარფინალში დვოინიკოვისა და ქარელის ორთაბრძოლა ქულებით მოიგო პირველმა. გაიმარჯვა რუდმანმაც. ეს ორი სპორტსმენი ფინალში გავიდა. აქ ძალიან აქტიურობდა რუდმანი. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ იგი გამარჯვებას ხელიდან არ გაუშვებდა, მაგრამ დვოინიკოვმა შეძლო მომგებიანი ქულის აღება და გამარჯვებაც მას ხვდა.

საშუალო წონაში წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონს გ. გოგოლაურს, რ. ქაიხოსროშვილს (ორივე — თბილისი) და ა. ციუპაჩენკოს (მოსკოვი), მაგრამ სპარტაკიადის ჩემპიონმა პირველი ორი შეხვედრა წააგო (გდრ-ის წარმომადგენელ ს. სკოპეკთან და თბილისელ რ. ქაიხოსროშვილთან) და ასპარეზობას გამოეთიშა. მეორე ქართველი ფალავანი წარმატებით გამოვიდა, ფინალში ჭიდაობის უფლებაც მოიპოვა, მაგრამ აქ დამარცხდა ციუპაჩენკოსთან, რომელმაც მტკივნეული ილეთით სძლია მეტოქეს.

ქვემძიმე წონაში პირველობას რთმანეთს ეცილებოდა 13 სპორტსმენი, რომელთა შორის იყვნენ თბილისის წინა საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული, ფრანგი ჟ. რუჟე, მოსკოველი ე. სოლოდუხინი, გორელი შ. ჩოჩიშვილი და ფრანგი ჟ. დეშერში. სწორედ ამ ოთხეულს შორის გაიმართა პირველობისთვის ბრძოლა. ჩოჩიშვილი დამარცხდა სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონ სოლოდუხინთან. დეშერშისა და რუჟეს ჭიდილი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. სოლოდუხინისა და რუჟეს ფინალური შეხვედრა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. მსაჯებსაც გაუჭირდათ იმის გარკვევა, თუ ვისთვის მიენიჭებინათ გამარჯვება. რადგან ძიუდოში ფრე არ შეიძლება, მსაჯებმა გამარჯვებულად ფრანგი ცნეს.

მძიმე წონაში ფავორიტი იყო იაპონელი ა. ნინომია, რომელმაც 50 წამში მახრჩობელა ილეთი გაუკეთა ბულგარელ გ. კოპლივლენსკის, შემდეგ მოუგო თბილისელ ა. ონაშვილს, ვ. ცუკშვერტს (გდრ), ვ. გუცუს (კიშინიოვი) და ვ. საუნინს (კიევი). იაპონელმა ონაშვილის გარდა (ამ სპორტსმენმა ხელი იტკინა და გამოეთიშა შეჯიბრებას) ყველას მახრჩობელა ილეთით მოუგო. ასევე წარმატებით იბრძოდა თბილისელი ჯ. ნიჟარაძე. აღსანიშნავია მისი გამარჯვება სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონ საუნინთან. ქართველი მოჭიდავე ფინალში გავიდა და ნინომიას შეხვდა. იაპონელმა აქაც იმარჯვა: მეტოქე მოვვერდით ძირს დასცა. ეს მოხდა შეხვედრის ბოლო წუთზე. მართალია, 21 წლის ნიჟარაძემ ფინალური ბრძოლა წააგო, მაგრამ იგი უდავოდ ნიჭიერი ძიუდოისტია, — ჯერ გამოცდილება აკლია. თუ მეტ ყურადღებას დაუთმობს ტექნიკური ფანდების დახვეწას, მას შეუძლია თამამად ჩადგეს უძლიერესთა რიგებში.

სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. კიკნაძის სახელობის თასზე გამართულმა საერთაშორისო ტურნირმა მრავალრიცხოვანი მაყურებლის დიდი ინტერესი გამოიწვია.

ვ. ქობელაშვილი.

• • •

### პრიზიორები

**მსუბუქი წონა:** 1. ს. მელნიჩენკო (კიევი), 2. ა. მარტყოფლიშვილი (თბილისი), 3. პ. ბარაკო, ჟ. მონიე (ორივე — საფრანგეთი).

**ქვესაშუალო წონა:** 1. ვ. დვოინიკოვი (სვერდლოვსკი), 2. დ. რუდმანი (მოსკოვი), 3. ს. ქარელი (გორი), ა. ნოვიკოვი (ხარკოვი).

**საშუალო წონა:** 1. ა. ციუპაჩენკო (მოსკოვი), 2. რ. ქაიხოსროშვილი (თბილისი), 3. ჟ. კოში (საფრანგეთი), ა. რეიტერი (პოლონეთი).

**ქვემძიმე წონა:** 1. ჟ. რუჟე (საფრანგეთი), 2. ე. სოლოდუხინი (მოსკოვი), 3. შ. ჩოჩიშვილი (გორი), ჟ. დეშერში (საფრანგეთი).

**მძიმე წონა:** 1. ა. ნინომია (იაპონია), 2. ჯ. ნიჟარაძე (თბილისი), 3. ვ. საუნინი (კიევი), ვ. ცუკშვერტი (გდრ).

**აბსოლუტური.** 1. ს. ენდო (იაპონია), 2. რ. ოდიშელიძე (თბილისი), 3. ვ. კუზნეცოვი (მოსკოვი), მ. მურაი (იაპონია).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ა. კიკნაძე შეჯიბრების მთავარ ჯილდოს გადასცემს აბსოლუტურ წონაში გამარჯვებულ ს. ენდოს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

# ახალი ამბები-72

● **ტალინი,** 13 თებერვალი. ასუჯრიან შაშში მსოფლიო პირველობაზე ა. ანდრეიკო (რიგა) — ი. კუპერმანის (კიევი) მატჩის XV პარტიაც ყაიმით დამთავრდა — მეტოქენი 38-ე სვლაზე დაზავდნენ. ანგარიში გახდა 7,5:7,5.

● **ლოს-ანჯელესი,** 13 თებერვალი. ადგილობრივ დარბაზში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში 1500 მეტრზე და 1 მილზე (1609 მ) რბენაში მსოფლიო რეკორდსმენმა, ამერიკელმა ჯ. რაიანმა ერთ მილზე რბენაში გამანადგურებელი მარცხის სიმწარე იწვნია — ფინიშთან მხოლოდ მეექვსე იყო. ყველას აჯობა იამაიკელმა ბ. დაისმა — 4.02,9. მას მხოლოდ 0,1 წამით ჩამორჩა 1500 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონი ფ. არეზე (იტალია). ამერიკელმა მძლეოსნებმა დარბაზებისთვის ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარეს: ჯ. სკოტმა 500 იარდი (457,2 მ) ერთ წუთსა და 05,6 წამში გაირბინა, ხოლო კ. გიბონმა 1000 იარდი (914,4 მ) — 2 წუთსა და 32,2 წამში.

● **სოფია.** 13 თებერვალი. გუშინ აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში მოსკოვის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა ანგარიშით 2:1 (0:0) დაამარცხა ადგილობრივი „სპარტაკ-ლევსკი“. მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს საზომ და ევრიუჟიხინმა. სოფიელებმა მოსკოველთა კარი 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით აიღეს.

● **ზაგრები,** 13 თებერვალი. აქ გაიმართა ევროპის უძლიერეს მაგიდის ჩოგბურთელთა პირველი ოფიციალური საკლასიფიკაციო ტურნირი, რომელიც უნგრელი ბეატრიქს კიშხაზისა და იუგოსლაველი ანტონ სტიპანჩიჩის გამარჯვებით აღინიშნა. ქალთა შორის II ადგილი დაიკავა რუმინელმა მ. ალექსანდრუმ, ხოლო III — სსრ კავშირის წარმომადგენელმა ზ. რუდნოვამ (მეორე საბჭოთა სპორტსმენი ს. ფიოდოროვა VI ადგილზე გავიდა). ვაჟებში შვედმა ს. ბენგტსონმა იმდენივე ქულა (ათიდან 8) დააგროვა, რამდენიც სტიპანჩიჩმა, მაგრამ იუგოსლაველს პარტიების უკეთესი შეფარდება აღმოაჩნდა. მოსკოველმა ს. გომოზკოვმა 5 ქულით მხოლოდ V ადგილი დაიკავა.

### მეგობრული შარჟები



ს. ენდო — ა. ნინომია

გ. ფირცხალავას ნახატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# 89-ე წუთზე

სპლიტი, 13 თებერვალი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა ახალ სეზონში პირველი ამხანაგური მატჩი გამართა — დღეს აქ ადგილობრივ „ჰაიდუკს“ ეთამაშა. იუგოსლავიის ჩემპიონისა და სახელოვანი სტუმრის შეხვედრის სახილავად 12 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

საბჭოთა გუნდი, რომელმაც სეზონისთვის მზადება ეს-ესაა დაიწყო, ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: ბანიკოვი, ძოძუაშვილი, ხურცილავა, კაპლიჩნი, ისტომინი, ანდრიასიანი (ფედოტოვი), აბრამოვი, იშტოიანი, კოპეიკინი, კონკოვი, შევჩენკო (გრეშჩაკი).

სამწუხაროდ, წვიმებმა მინდორი გააფუჭა.

მატჩი თითქოს ნულოვანი ფრეთი უნდა დამთავრებულიყო, რომ 89-ე წუთზე მასპინძელთა მარცხენა გარემარბმა შურიაკმა ბანიკოვის კარში ბურთი გაიტანა.

ამრიგად, გაიმარჯვა „ჰაიდუკმა“ — 1:0.

## საკონტროლო მატჩები

სოჭი, 13 თებერვალი. აქ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედო“ და დონის როსტოვის ასკ. გოლი ვერც ერთმა გუნდმა ვერ გაიტანა — 0:0.

აშხაბადი, 13 თებერვალი. ადგილობრივმა „სტროიტელმა“ მოსკოვის „სპარტაკს“ უმასპინძლა. მწვავე და დაძაბული შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 2:2.

# ოქროს ქალღმერთის მემკვიდრე

ფეხბურთის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ ბრაზილიის ნაკრებმა 1970 წელს მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა და სამუდამოდ დაისაკუთრა ფეხბურთის უმაღლესი პრიზი — ოქროს ქალღმერთის თასი.

საჭირო შეიქნა ახალი პრიზის დამზადება. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა კონკურსი, რომელშიც მონაწილეობის მსურველებს ახალი თასის პროექტები უნდა გამოეგზავნათ. ასეთი მსურველი ბევრი აღმოჩნდა და ფიფა ორ წელიწადს მოუნდა მათი პროექტების განხილვას. ახლა კონკურსის შედეგები შეჯამდა და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის თასი, რომლითაც მსოფლიო ჩემპიონი დაჯილდოვდება, ოფიციალურად იქნა რეგისტრირებული. სხვათა შორის, პრესაში უწინ გამოქვეყნებული იყო რამდენიმე პროექტი, მაგრამ ისინი არ დაამტკიცეს, ხოლო ის, რომელსაც თქვენ სურათზე ხედავთ, საბოლოო ვარიანტია.

ფიფა-მ ახალი პრიზის მაკეტი დასამზადებლად გადასცა მილანის ერთ-ერთ ცნობილ საიუველირო ფირმას. გამოცხადდა ავტორის გვარიც. ეს ყოფილა იტალიელი მხატვარი სილვიო გაზანიგო.

საინტერესოა პრიზის მონაცემები: იგი ბაჯაღლო ოქროსია და 5 კგ-ს იწონის. სიმაღლე 36 სმ-ია, დიამეტრი — 15 სმ. მისი ფასია 20 ათასი დოლარი.

ოქროს ქალღმერთისგან განსხვავებით, ფიფა-ს ახალ პრიზს მარადიული სიცოცხლე უწერია, ვინაიდან იგი სამგზის გამარჯვებულ გუნდს არ რჩება. მსოფლიო ჩემპიონი 4 წლით ჩაიბარებს თასს, რის შემდეგ უკან დაუბრუნებს მას ფიფა-ს, ხოლო სამუდამოდ დაიტოვებს თასის პატარა, ოქროსსავე ასლს.



ს უ რ ა თ ზ ე: ფიფა-ს თასი.



# მდევართა როლი არ გამოგვადგება

თბილისი. ლენინის სახელობის დარბაზი. 12 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 84:91 (41:41, 77:77).

„დინამო“: ქორქია (გუნდს შესძინა 30 ქულა), საკანდელიძე (17), უგრეხელიძე (14), ბოლქვაძე (10), ჩიხლაძე (9), სხიერელი (4), ფიცხელაური, ქეიშვილი.

„ჟალგირისი“: ლინკევიჩუსი (32), ჟუკაუსკასი (12), ვენზბერგასი (11), ჟუკაიტისი (11), ბუდნიკასი (9), გედრაიტისი (8), იურკშაიტისი (6), პატკაუსკასი (2), ხაკასი.

მსაჯები ვ. კასატიკოვი, ვ. კოსტინი (ორივე — მოსკოვი).

დუბლიორები — 88:65 (49:36) „დინამოს“ სასარგებლოდ.

ქართველ კალათბურთელებს მდევართა როლში გამოსვლა რომ უჭირთ, ეს საყოველთაოდ ცნობილია. ეს „კანონზომიერება“ ვრცელდება სამამულო კალათბურთის აღიარებულ ლიდერზე — თბილისის „დინამოზეც“. ასე იყო მაშინაც, როცა საბჭოთა კალათბურთში ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია გვეჭირა და ასეა ახლაც, როცა იმ დიდების ნაშთიც აღარ დარჩა. ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა კაუნასის „ჟალგირისთან“ მატჩმაც. პირველ წრეში წაგების შემდეგ „დინამოს“ გულშემატკივრებს იმედის ნაპერწკალი მაინც გვიღვივოდა, რომ საკუთარი კედლები გვიშველიდნენ. იმედი კიდევ უფრო განმტკიცდა, როცა სტუმართა რიგებში ვერ ვიხილეთ სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი პაულაუსკასი. მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

დაიწყო მატჩი და კაუნასელებმა მეთოდურად დაიწყეს მეტოქის კალათის დაბომბვა. ყოველი მათი კალათბურთელი შესანიშნავად ისვრის შუა მანძილებიდან და თითქმის ყოველთვის — მიზანში. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლიტველთა ბომბარდირი ლინკევიჩუსი. ცოტაა იმის თქმა, რომ მან გუნდს 32 ქულა მოუტანა. უნდა გენახათ, რა თავგანწირვით იბრძოდა იგი როგორც მეტოქის, ისე საკუთარ ფართან! ლინკევიჩუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში ესროდა კალათს, როცა 2 ქულა თითქმის განაღდებული ჰქონდა, ანდა დარწმუნებული იყო, რომ ფარიდან ასხლეტილ ბურთს თანაგუნდელი დაეუფლებოდა. თავად ვანსაჯეთ: 19 სროლიდან მან 16 მიზანს მოახვედრა. ასეთი სიზუსტე, მეტი რომ არ ვთქვათ, საოცარია. არ გვინდა მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს კაუნასელთა დანარჩენი მოთამაშეები მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ როგორმე ხელსაყრელი პოზიცია შეექმნათ თანაგუნდელისთვის. სრულიადაც არა! თითოეული კალათბურთელი თავად წარმოადგენდა საშიშროებას კალათისთვის იმიტომ, რომ შესანიშნავად იყო დაუფლებული კალათში ზუსტ სროლას. ყოველივე ზემოთქმულს თუ დავუმატებთ, რომ მთელი მატჩის მანძილზე მდევრების როლში გამოვდიოდით, სურათი ნათელი შეიქნება.

დინამოელებმა აშკარად სუსტად ითამაშეს. მართალია, ქორქიამ გუნდს 30 ქულა მოუტანა, მაგრამ მისი ფიზიკური მომზადება სასურველ დონეზე არ დგას. საკანდელიძე ჩვეულ სპორტულ ფორმაში ვერაა. აშკარად უკლეს თამაშს სხიერელმა და ბოლქვაძემ.

ა. მხეიძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა ფარს უტევს ლინკევიჩუსი.

მ. ზარგარიანის ფოტო.



სსრ კავშირის ჩემპიონატი

# ორი თამაში — ორი მოგება

მოსკოვი, 14 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინ სპორტკლუბ „კუნცევოს“ დარბაზში დაიწყო ხელბურთელ ვაჟთა ზამთრის გუნდური საკავშირო შეჯიბრების მეორე წრის მატჩები. ამ ბოლო ხანს დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, თბილისის „ბურევესტნიკს“ პირველი შეხვედრა თავის ძველ მეტოქესთან — კრასნოდარის „უნივერსიტეტთან“ ჰქონდა. მოგაგონებთ, რომ ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში გამარჯვება კრასნოდარელებს დარჩათ (18:15). ამჯერად თბილისელებმა გაიმარჯვეს და, რაც ნიშანდობლივია, მატჩი ისეთივე ანგარიშით მოიგეს — 18:15.

ეს გამარჯვება თბილისელებმა დიდი ჯაფისა და დაძაბულობის ხარჯზე მოიპოვეს. პირველი ტაიმი „ბურევესტნიკმა“ ერთობ უხეიროდ ჩაატარა და წააგო კიდეც — 4:7. საკმარისია ითქვას, რომ ამ მონაკვეთში თბილისელებმა ვერც ერთი გოლი ვერ გაიტანეს უშუალოდ თამაშიდან. მიზეზი ის გახლდათ, რომ ჩვენები კრასნოდარელთა კარის აღებას მხოლოდ ახლოდან ცდილობდნენ და ამით მეტოქეებს დაცვის მოწყობის საშუალებას აძლევდნენ, თავად კი, ბუნებრივია, მოქმედების არე შეიზღუდეს.

კრასნოდარელები დაცვაში ძალიან უხეშად მოქმედებდნენ და ამის გამო პირველ ტაიმში მსაჯებმა მათი მოთამაშეები ოთხჯერ გააძევეს 2-2 წუთით. ჩვენებმა ვერც ეს შესაძლებლობა გამოიყენეს.

შესვენების შემდეგ კრასნოდარელები მოედანზე ერთობ თვითდაჯერებული გამოვიდნენ. მათ, ცოტა არ იყოს, ადრე ირწმუნეს იოლი გამარჯვება და დაისაჯნენ კიდეც. ამჯერად ჩვენები უფრო თამამად თამაშობდნენ, ნაკლებად უშვებდნენ შეცდომებს. მათს ურთიერთმოქმედებაში მეტი სიზუსტე, ტექნიკური ოსტატობა და გამარჯვებისკენ შესაშური სწრაფვა ჩანდა. განსაკუთრებით ისახელა თავი ჯ. ცერცვაძემ, რომელიც ყველა წამოწყებული იერიშის ორგანიზატორი იყო. ცერცვაძემ და მისმა პარტნიორებმა ფხაკაძემ, ბუნაძემ, ექსეულიძემ და დანარჩენებმა ჯერ დაკარგული ქულები ამოიღეს, მერე დაწინაურდნენ და საბოლოო გამარჯვებაც იზეიმეს.

ცერცვაძემ 5 გოლი გაიტანა (აქედან 3 — პენალტით). მისივე კარგი და ზუსტი გადაცემით 4 გოლი გავიდა. ბერიაშვილმა ოთხჯერ აიღო კარი (ოთხივე პენალტით), ამდენივე გოლი გაიტანა ფხაკაძემ, რომელმაც სამჯერ ჩაჭრა ბურთი და სამივე ინდივიდუალური იერიში წარმატებით დააგვირგვინა. სამჯერ აიღო კარი ბუნაძემ, თითოჯერ — ექსეულიძემ და დვალიშვილმა. ერთი პენალტი ოსტატურად მოიგერია მეკარე ხუციშვილმა.

გაგაცნობთ ტურნირის პირველ დღეს გამართული სხვა მატჩების შედეგებს: ცსკა-მ დაამარცხა ტაშკენტის „ბურევესტნიკი“ — 14:12 (8:8), ზაპოროჟიეს მეტალურგიის ინსტიტუტმა — ზაპოროჟიეს „ალუმინსტროი“ — 12:8 (7:4), მოსკოვის „კუნცევომ“ — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — 22:16 (10:7). ორიოდე სიტყვა ამ უკანასკნელ შეხვედრაზე. როგორც ცნობილია, წლეულს საბჭოთა ნაკრებმა ზაფხულის ოლიმპიური თამაშების შესარჩევ ტურნირში უნდა მიიღოს მონაწილეობა. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი გაძლიერებულია „კუნცევოსა“ და სხვა გუნდების რამდენიმე მოთამაშით. ამჟამად ძირითადად ეს გუნდი წარმოადგენს საბჭოთა ნაკრებს. პირველ დღეს სწორედ ამ კოლექტივმა ითამაშა ყველაზე უხეიროდ და წააგო მატჩი „კუნცევოს“ შესუსტებულ გუნდთან. ერთი სიტყვით, საგანგაშო ზარის ხმა გაისმა. ეს ხდება იმ დროს, როცა სხვა კოლექტივებში (მათ შორის, თბილისის „ბურევესტნიკშიც“) არიან ძლიერი მოთამაშეები, რომელთაც უნარი შესწევთ დაიცვან ნაკრების ღირსება. დიდხანს ხომ არ გაგრძელდა ნაკრების დაკომპლექტება? შესარჩევ ტურნირამდე, რომელიც ესპანეთში გაიმართება, სულ რაღაც სამიოდე კვირა რჩება.

ზამთრის საკავშირო ტურნირის მეორე დღეს თბილისის „ბურევესტნიკმა“ ცსკა დაამარცხა — 14:13 (7:6). მოგაგონებთ, რომ ამ გუნდთან შეხვედრა ჩვენებმა პირველ წრეშიც მოიგეს — 15:12. მთელი მატჩი უაღრესად დაძაბულ, შეუპოვარ ბრძოლაში წარიმართა და ძნელი იყო იმის თქმა, თუ გამარჯვების სასწორი ვისკენ გადაიხრებოდა. შეხვედრის ბედი მატჩის ბოლო ორ წუთში, მაშინ, როცა ერთი გოლით ვაგებდით (12:13), თბილისელმა ნარიმანიძემ გადაწყვიტა. მან ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდეგ გუნდი დააწინაურა კიდეც. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: ცერცვაძემ (5), გიორგი ბერიაშვილმა (3), ვახტანგ ბერიაშვილმა (2), ნარიმანიძემ (2), ფხაკაძემ და ბუნაძემ.

პირველ წრეში თბილისელებმა შვიდ მატჩში მხოლოდ 5 ქულა დააგროვეს, ახლა კი ორი შეხვედრიდან 4 ქულა აქვთ და VI ადგილიდან მეხუთეზე გადაინაცვლეს.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „უნივერსიტეტი“ (კრასნოდარი) — ზაპოროჟიეს მეტალურგიის ინსტიტუტი 10:8 (6:5), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) 20:9 (9:6), „კუნცევო“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი) 23:21 (12:9).

ჯ. ენუქიძე.

# თანაკლუბელთა შეხვედრა

მოსკოვი. კვირას სსრ კავშირის ჩემპიონებმა — მოსკოველმა არმიელებმა კიეველ თანაკლუბელებს უმასპინძლეს და დამაჯერებლად გაიმარჯვეს — 93:69

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 თებერვლისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 11 | 11 | 0 | 777—680 | 11 |
| ცსკა | 11 | 10 | 1 | 949—746 | 10 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 12 | 6 | 6 | 927—905 | 6 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 10 | 6 | 4 | 716—653 | 6 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 10 | 5 | 5 | 780—774 | 5 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 10 | 5 | 5 | 711—715 | 5 |
| „დინამო“ (თბილისი) | 11 | 4 | 7 | 807—878 | 4 |
| ასკ (კიევი) | 11 | 3 | 8 | 731—825 | 3 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 10 | 3 | 7 | 681—746 | 3 |
| „სტატიბა“ (ვილნიუსი) | 10 | 0 | 10 | 676—848 | 0 |

# „კოლმეურნე“ ისევ უძლიერესია

დასასრული

სიმცირის გამო იყო, რომ IX და X ადგილებისთვის განკუთვნილი 3 ქულა გაუნაწილებელი დარჩა. აქ ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა ნ. ფალიანმა („ბურევესტნიკი“) — 1.59,1. II ადგილი ხვდა სპორტის ოსტატ ლ. გოგოლაძეს („კოლმეურნე“) — 2.03,2, III — პირველთანრიგოსან მ. ცარიტოვას („კოლმეურნე“) — 2.08,1.

სპარტაკიადა უფრო გუნდური ტურნირაა, ამიტომ ორიოდე სიტყვით გუნდურ შეჯიბრებაზეც შევჩერდებით. აქ ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდნენ კოლმეურნე მოთხილამურეები, რომლებმაც 14 სახეობიდან ხუთი მოიგეს — ტრამპლინიდან ხტომაში, ქალთა სამთო სახეობებში, 10 კმ-ზე რბენასა და 3×5 კმ-ზე ესტაფეტაში გუნდური I ადგილები დაისაკუთრეს. „კოლმეურნეს“ წილად ხვდა, აგრეთვე, ოთხი II და სამი IV ადგილი. იგი მხოლოდ ორჭიდში დარჩა შეუფასებელი. საერთო გუნდურ ჩათვლაში ამ საზოგადოებას ყველაზე ნაკლები — 32 საჯარიმო ქულა დაუგროვდა, ამიტომ რესპუბლიკის ჩემპიონობა და გარდამავალი თასიც მას მიეკუთვნა.

40 საჯარიმო ქულით II ადგილზეა „ბურევესტნიკი“, რომელმაც ეს ადგილი ხელთ იგდო ბოლო დღეს გუნდურ ტურნირებში მოპოვებული კარგი შედეგების წყალობით. სტუდენტთა კოლექტივმა გუნდური პირველობის დასაკუთრება მხოლოდ ვაჟთა სწრაფდაშვებაში შეძლო.

ქების ღირსია „სპარტაკის“ ახალგაზრდული კოლექტივი, რომელიც შარშანდელ სეზონში შეიქმნა და უკვე საგრძნობ წარმატებას მიაღწია — წლევანდელ სპარტაკიადაში საერთო III ადგილი დაისაკუთრა. სპარტაკელებს 41 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ, აქედან 18 ქულა — ქალების სამთო ტურნირში. „სპარტაკმა“ მოიგო ვაჟთა ყველა რბოლა, აგრეთვე, გიგანტური სლალომი და ორჭიდი. მომდევნო ადგილებზე არიან „დინამო“ (44 ქულა) და „განთიადი“ (66).

აღსანიშნავია, რომ სპორტსაზოგადოებათა საბჭოები წლევანდელი სპარტაკიადისთვის მზადებას უფრო გულისხმიერად მოეკიდნენ და ტურნირებმაც შედარებით წესიერად ჩაიარა.

ამით დამთავრდა სეზონის კიდევ ერთი დიდი ასპარეზობა, მაგრამ ბაკურიანში სპორტული ცხოვრება კვლავ გრძელდება. ახლა აქ ემზადებიან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე „მფრინავ მოთხილამურეთა“ საერთაშორისო შეჯიბრებისთვის, რომელშიც საპოროს XI თეთრი ოლიმპიადის მონაწილეთა უმეტესობა იასპარეზებს. შეჯიბრება 20 თებერვალს გაიმართება.

ო. გელაშვილი,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11. უე 04442